საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 43 (6537) 22 ოქტომბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება

## თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში შექმნილია ურთულესი მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ მთლიანობას, სახელმწიფო საბჭომ თავმჯდომარის წინადადებით მიზანშეწონილად ჩათვალა შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ: თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე—პარლამენტის თავმჯდომარე; წევრები: პრემიერ-მინისტრი; სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი; საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი; საგარეო საქმეთა მინისტრი; რესპუბლიკის გენერალური პროკურორი; გენერალური შტაბის უფროსი.

გათვალისწინებულია თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, აგრეთვე ინსპექტორებისა და კონსულტანტების ჯგუფები.

თავდაცვის სახელმწიფო საბჭო მიიღებს დადგენილებებს და ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დაწესებულებისათვის, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციისათვის, ყველა მოქალაქისათვის.

ამ ბრძანებებისა და დადგენილებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.

თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს დებულების შემუშავება დაევალა თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებს. ამ დებულებას დაამტკიცებს საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.

## შემოდგომაა

## ჭირნახულის აღება დაიწყო

დღეს ყველას უჭირს საქართველოში, მთელ რესპუბლიკაში და მით უფრო ლეჩხუმში არაა ოჯახი, რომ შეძრწუნებული არ იყოს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიით, რადგან აფხაზეთი პატარა ლეჩხუმია და ბევრი იქაური ოჯახი აქაური წარმოშობისაა. ამიტომაა, რომ წლევანდელ შემოდგომას ძველებური ხალისი აღარ ახლავს, არადა გარჯა და შრომის გამოღება რომ ყველაზე მეტად ახლა ჭირდება, ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული.

ცხოვრება თავის გზით მიდის. მოსავლის აღებას შეუდგნენ სოფლის მშრომელები. სიმინდს იღებენ თითქმის ყველა სოფელში, არნახული მომჭირნეობა და მონდომება ახლავს წლევანდელი ჭირნახულის აღებას ლაჯანის ზონის სოფლებში, სადაც ვაზიც კარგი მოვლილი აქვთ და სიმინდის ყანებიც ბარაქიანია. პირველ რიგში, აქ სიმინდის მოსავალს იღებენ. ყურძენი კი ჯერჯერობით არაა დასაკრეფი. უამინდობამ რთველი ლეჩხუმში დააგვიანა. უხვ მოსავალს იწევენ ჭარმაგი, დიდი შრომითი გამოცდილების მქონე ადამიანები—ლაჯანლები გრიშა გოდერიძე, ბორის თოთაძე, ამბროსი, გრიშა მახარობლიძეები, გურამ ხეცურიანი, შალვა მანჯგაძე, სპათაგორელი კოლია გიორგობიანი, ლაცორიელები შარდენ აბაშიძე, დავით ახვლედიანი, ჯუმბერ კიბაბიძე, უსახელოელები—შალვა ხეცურიანი, რომან თვარაძე, ლეშკედელები—ევგენ და აქსენტი სილაგაძეები და სხვები.

დიდი შრომით მოწეულ მოსავალს იწევენ და მარტო თავისთავზე როდი ფიქრობენ, მშრომელები, ქვეყანა უმწვავეს ეკონომიკურ კრიზისშია. კარს მომდგარ მტერს პასუხის გაცემა უნდა, ქართულ გვარდიას საკვები და თბილი ტანსაცმელი სჭირდება, აფხაზეთიდან ლეჩხუმში ჩამოსულ ლტოლვილებს—გამასპინძლება და მზრუნველობა.

კეთილსინდისიერი, ნამდვილი ქართველი, ადამიანური სულისა და გულის გლეხკაცი თავს ვერასოდეს იგრძნობს ბედნიერად, თუ ქვეყანასაც უჭირს და მოძმესაც. და ისიც მზადაა თავისი ნაშრომი დღევანდელობით შეჭირვებულს ალალად უწილადოს.

**დ. მახარობლიძე.**

## 7 ბედნიერი ციფრია

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. გაჭირდა ცხოვრება და იმატა ნახშირ-ნათესმა ფართობებმა, კარგად მოვლილმა ბაღ-ვენახებმა. მოსავალიც აფასებს გლეხკაცის გარჯას. ახლა აღარავის უკვირს 2-3 ტაროიანი სიმინდი ყანაში. მაგრამ ჩხუტელელი შოთა გრიგოლის ძე გუგავას მიერ მოწეულმა ჭირნახულმა ყოველგვარი რეკორდი მოხსნა: ყანის აღების დროს მან ერთი სიმინდის ღეროზე 7 (!) სავსებით ჯანსაღი ტარო „იპოვა"! თურმე ასეც ხდება. გვიმრავლოს!

## კომპენსატორი წყაროდან

## ელექტროენერგია იქნება

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რთული მდგომარეობაა შექმნილი რესპუბლიკის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში. ენერგეტიკოსები არსებულ ვითარებას ხსნიან იმითაც, რომ მწყობრიდანაა გამოსული ელექტროენერგიის ძირითადი გადამცემი ხაზები, რაც ქმნის შეფერხებებს როგორც ელექტროსადგურების ფუნქციონირებაში, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში.

როგორც ლაჯანურჰესის დირექტორმა ბ-ნმა დავით ჩაჩხიანმა გვითხრა, ამ ზამთარში რაიონი ძირითადად უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით, თუ რა თქმა უნდა, რაიონის მოსახლეობა და წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები ანგარიშს გაუწევენ შექმნილ სიძნელეებს—აუცილებელია ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვა, არ უნდა დავუშვათ მისი გამოყენება შენობა სათავსოების გათბობის ან სხვა მსგავსი მიზნებით.

ამ მოთხოვნათა შესრულება უზრუნველყოფს ზამთრის სეზონში ელექტროენერგიით რაიონის ნორმალურ მომარაგებას.

## ლტოლვილნი სამშობლოდან

## როცა მოლოდინით ცხოვრობ...

ლტოლვილი—რა უტიფრად შემოიჭრა ეს შემაზრზენი სიტყვა ჩვენს ლექსიკონში, მით უფრო შემაზრზენი, როცა შენი მიწიდან, შენი ბუდე-დედულ-მამულიდან გერეკებიან და ლტოლვილს გეძახიან.

ლეჩხუმშიც მომრავლდნენ აფხაზეთიდან აყრილი ადამიანები. უბედურებაა ეს, ენით გამოუთქმელი უბედურება, თვით სიკვდილზეც მეტი. მაგრამ ქართველს რა უფლება აქვს არ გადაარჩინოს სიცოცხლე და მომავალი თვისი, არ გადაეფაროს შთამომავლობას და მოდიან ადამიანები, მოდიან აკვნებით, ფუთებით, ცრემლითა და უსაშველო დარდით.

ჩვენც გაოგნებული ვართ, უმწეონი საკუთარი სისხლისა და ხორცის წინაშე, რა ვქნათ, რა ვუშველოთ თანამემამულეთ?

ალბათ ის, რომ ცრემლი მოვწმინდოთ, დარდი შევუმსუბუქოთ, თბილი სიტყვა და იმედი არ დავამადლოთ. ეს გვამოძრავებდა, როცა რამდენიმე ოჯახს ვეწვიეთ, სადაც აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალები და ბავშვები სტუმრობენ.

**დავით დავითულიანის ოჯახში** ხუთი სტუმარია (არ მინდა სიტყვა ლტოლვილი ვიხმარო წარამარა, მით უფრო ერთ-ერთ გოგონას დედისათვის უთქვამს: ნუ ამბობ დედა, ლტოლვილები ვართო, თქვი უბრალოდ, რომ სტუმრად ვართ სოხუმიდან). ამ ოჯახში სოხუმელი დები ნანა (სამი შვილით) და ფოთოლა ბენდელიანები არიან, დედითა და მამით ლეჩხუმელები. ნანა ექთანია, ფოთოლა პედაგოგი. მოვუსმინოთ მათ:

ადამიანი იმედით ცოცხლობს, ჩვენც ყოველდღე ველოდით კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, 3 სექტემბრიდან კი რადიკალურ შემობრუნებას სასიკეთოდ. ეს არ მოხდა. პოლიტიკაში პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ არძინბასნაირ ადამიანებთან არანაირი სიკეთე არ ჭრის. კაცი გვეუბნება, არა ვარ თქვენი ძმა და ჩვენ ისევ ვეფერებით. ეს დიდი პოლიტიკაა, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი. გაგრის ტრაგედიის შემდეგ საოცარმა შინაგანმა დაძაბულობამ და ფსიქოზმა მოიცვა სოხუმი. აეროპორტს რომ დაბომბეს, ქალები და ბავშვები დაიძრნენ ზღვითა და საჰაერო გზით. საავტომობილო ტრასით ჩვენი ბედოვლათი თანამემამულეების წყალობით ვერც გამოხვალ აფხაზეთიდან და ვერც შეხვალ. დაჯდებოდა თუ არა თვითმფრინავი, ვინ დაეძებდა სად დაფრინდებოდა, ოღონდაც სოხუმს გამოვცილებოდით. ჯგლეთა-წივილ-კივილში როგორ მოვხვდით თვითმფრინავში ჩემი ოთხი წლის ბიჭით, ვერ გეტყვით. გამოვემშვიდობეთ ძმებს, ქმრებს, მაზლებს...

ქუთაისში სითბო და ორგანიზებულობა დაგვხვდა. ერთი დიარბაისელი კაცი ისე გულით გვეპატიჟებოდა, გავყევით. ადამიანი გაჭირვებაში იცნობაო, მართალია. ჩვენი მასპინძელი ლეჩხუმელი აღმოჩნდა, ვიტალი ალავიძე. ამ ოჯახის სითბოსა და ყურადღებას ვერ გადმოვცემთ. თუ სოხუმში დაბრუნება გვეღირსა, გადავუხდით (პატარა ნუკრი გულარხეინად უკაკუნებს წაბლს და გაკვირვებული შეჰყურებს აცრემლებულ დედას.)

ერთადერთი, რაც ახლა ჩვენ გვაინტერესებს, ინფორმაციაა, ინფორმაცია, რა ხდება აფხაზეთში და... ცოცხლები არიან თუ არა ჩვენები.

**ლამარა და შოთა მურცხვალაძეების ოჯახში** ათი სტუმარია სოხუმ—კელასურიდან, ახლობლები, ლუხვანოდან წასული კოპალიანები. ოთხ-ხუთს კიდევ ელოდნენ იმ დღეს.

**სტუმრები:** გაგრა-განთიადში, ლესელიძეში რომ უბედურება დატრიალდა, კარიც არ გამოგვიხურია, გვარდიელების დახმარებით თევზსაჭერი ღუზით ჩვილი ბავშვებით 12 საათში ჩამოვაღწიეთ ბათუმს. ქობულეთში დაგვაბინავეს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# როცა მოლოდინით ცხოვრობ...

(დასასრული).

უნდა გვქონდა წინაც, კვებაც. მაგრამ იქ იმდენმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, ლეჩხუმისკენ გამოვიწია გულმა. ავტობუსებით უკაპიკოდ (მძღოლებს საკუთარი ოჯახებიდან წამოღებულით ჩვენთვის საგზალი, ხილი, ბავშვებისათვის სპეციალური საკვებიც კი) მოგვიყვანეს აქ ჰიშურამდე. აი ეს თბილადგომა თუ გვასულდგმულებს დღეს, თორემ სხვა რა დაგვრჩენია...

გაგვგონებათ ჩვენი მოწინააღმდეგე ფანატიკური ძალაა. ფანატიკა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ რუსეთი ნიშნავს ბევრს. ამიტომ გაგრის გაკვეთილი გვაფრთხილებს სოხუმი გავამაგროთ, მთელი საქართველო დავარაზმოთ, სოხუმზე შეტევა ვერ უნდა განახორციელონ.

ოჯახის დიასახლისს შევახსენეთ, ხომ არაფერი დაგმარება შეგვიძლია ჩვენ, როგორც ადამიანებს, პრესის წარმომადგენლებს. გვიპასუხა: პირიქით, საკრებულოდან დამირეკეს და ხუთი სტუმარი მყავს—მეთქი, ვუპასუხე, ოჯახში პურიც გვაქვს და მჭადიც, გვიტანთ თავს, იქნებ სხვას უფრო უჭირს, და ამიტომ.

ჯუმბერ (ჯაბუ) ხეცურიანის ლესელიძეში მცხოვრებმა შვილებმა, ძმებმა მერაბმა და როსტომმა ქალები და ბავშვები ჩამოიყვანეს. ძმები კი უკან გაბრუნდნენ. ოჯახს ლესელიძიდან სახლკარგადაბუგული მოყვარე ეწვია გულნაზი არჯევანიძე შვილებით. შოკში მყოფ ადამიანებთან ძნელია აეწყო საუბარი, ძნელია გაუსწორო თვალი.

ბოლო წუთამდე ვერ წარმოგვედგინა მსგავსი სისასტიკე, გაგრაში რომ ბავშვიანი ოჯახები დახვრიტეს, ლესელიძეში კი საავადმყოფო წაბილწეს და ააოხრეს, ქალები და ბავშვები ადლერში გავხიზნეთ. ერთეულთა თავდადებამ და ენთუზიაზმმა ვერ მოიგერია მტერი, ყველა ქართველის სახლი გადაწვეს, ყვება მერაბი და სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავს.

არძინბა პოლიტიკანია, ახლომხედველი კაცი, საკუთარი ერის გენოციდისთვის ალბათ მოკითხავს ისტორია.

გრიშა ხაბულიანს ცოლისდა ჰყავს სტუმრად ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუდან. ცრემლი ახრჩობს ქალბატონ ლალის. მისი ქალიშვილი [illegible] წლეულს სტუდენტი გამხდარა. მაგრამ ომმა შეაჩერა ეს სიხარული. არადუს ყოველდღე უტევენ აფხაზები და გადამთიელები, სიკვდილი დაძრწის უბავშვო, უქალო, უსიხარულო სოფელში. ბოლოს კაცებმა შემოგვიბღვირეს: ბოლოსდაბოლოს სანამდე დავადგეთ თავზე, წადით, გვაცალეთ სოფლისა და ქვეყნის დაცვაო; და წამოვედით. მთელი 22 წლის ნაწვალებ-ნაშრომი ამ პაწია ტომარაში ჩავყარე და აქა ვარ...

* * *

ყველა ომში უსასტიკესად ბავშვები ისჯებიან. ასე მოხდა ამჯერადაც. მათი უზაკველი გული და გაუთვითცნობიერებელი გონება მოულოდნელად გახდა მოწმე დატრიალებული ტრაგედიისა, ძალმომრეობისა. დღეს ისინი მშობლიურ კერას მოწყვეტილები ლტოლვილთა მწარე ხვედრს იზიარებენ. ძნელია უკუაგდო მათგან ის არასასიამოვნო ემოციები, რაც ომმა მიაყენათ. არადა ახლა შეუძლებელიც კი უნდა შევიძლოთ, რომ ჩვენი პატარები დავარწმუნოთ ბოროტების უმწეობაში, სიკეთის დიდ ძალაში.

ცაგერის საშუალო სკოლაში აფხაზეთიდან ლტოლვილ მოსწავლეებს შევხვდით. მათი რიცხვი, როგორც სკოლის დირექტორმა მანანა გორგასლიძემ გვითხრა, ყოველდღე იზრდება. პედაგოგთა ძირითადი საზრუნავი მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფაა. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს, ბავშვები ახლო ნათესავებთან ცხოვრობენ და მეტნაკლებად უზრუნველყოფილნი არიან.

აი, რა გვიამბეს თავად ბავშვებმა:

**ლევან ჭგერენაია** — სამი დღეა აქ ვსწავლობ, მეთერთმეტე კლასში, ჩემი ძმა, ლაშა, მეცხრეკლასელია. ადლერის გამოვლით მოულოდნელად წამოვედით ჩვენ და დედა, აქეთ ბებიასთან, მამა იქ დარჩა.

**მაია არჩვაძე** — ზაფხულში ჩამოვედი ლეჩხუმში, შემდეგ გზები ჩაიკეტა და სწავლა აქ, მეექვსე კლასში გავაგრძელე.

არც **ირაკლი კუხალაშვილი** შეხვედრია პირველ სექტემბერს თავის გაგრელ თანაკლასელებთან ერთად. აფხაზეთში დატრიალებულმა სისხლისღვრამ ირაკლი და მისი პირველკლასელი და ანა ცაგერის საშუალო სკოლაში მიიყვანა. ხშირად გაიგონებთ, ბავშვები არიან და ყველაფერს ეგუებიანო, არა, ვერ ეგუებიან. თითოეული მათგანი მოლოდინითაა სავსე, ელიან ომის დასრულებას, მშობლიურ სახლთან, ნაცნობებთან, თანაკლასელებთან შეხვედრას. ისეთი აშკარა და მოუთმენელია ეს მოლოდინი, რომ არ შეიძლება რეალობად არ იქცეს.

ბავშვებთან ომზე არ საუბრობენ. ისინი სიკეთით სავსე სამყაროს ელტვიან, ჩვენი პატარების თვალებში კი შვლის ნუკრის სევდა დაუბუდებია.

* * *

თითქმის ყოველ მეხუთე ოჯახში სტუმარია აფხაზეთიდან. სიკვდილის საფრთხეგამოვლილ ამ ხალხს სითბო და ყურადღება უნდა. ეს გვასულდგმულებსო, ამიტომაც ამბობენ და მადლიერებას გამოთქვამენ ყველას მიმართ, მაგრამ...

ახლობლებთან მიმავალ ლტოლვილ ქალებს, [illegible]ებსა და [illegible] ერთმა მ[illegible] 200 მანეთი [illegible] ჩვილს [illegible] კალთაში რომ ეჯდა დედას, ერთს ასეც კი უთქვამს — ცოცხალი გადარჩით და 200 მანეთის გადახდაც არ გინდათ — რა დავარქვათ ამას? საქართველოსა და ქართველების ჩაკვლა მხოლოდ ასეთ სულმდაბლობასა და სულმოკლეობას შეეძლო და შეუძლია ახლაც, მაგრამ ღმერთმა არ ქნას ეს. საქართველოში ოდითგან მადლი და ზნეობა იმარჯვებდა და გაიმარჯვებს კიდეც.

* * *

ლტოლვილებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ პური, მხოლოდ პური ვუწილადოთ მათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და კიდევ კავშირგაბმულობის მუშაკებს სთხოვენ კვლავაც გულისხმიერებას, რათა ტელეფონით დაკავშირება შეძლონ დროდადრო თავისიანებთან, რომ გაიგონ მათი ამბავი.

* * *

საქართველო და ქართველი ერი მართალია მტრისა და მოყვრის წინაშე, მართალია, რადგან ჩვენ წინაპართა წმინდა იდეალს, საქართველოს მიწას, მის მთლიანობას, ღირსებას ვიცავთ.

გამარჯვება, მხნეობა გვისურვებია თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის.

მ. ძნელაძე.
ლ. ცხვედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგადასახადო სისტემაში სიახლეა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის დადგენილებით დამტკიცებულ დროებით დებულებაში შეტანილია ცვლილებანი.

მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი „ფ" ქვეპუნქტის ცვლილებების შემდეგ იღებს ასეთ სახეს:

„1. გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში არ შედის:

„ფ." მუშების, მოსამსახურეების და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავლები თვეში 850 მანეთამდე ოდენობით, რომელიც მიღებულია მათ ძირითადი სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილას."

მე-8 მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გადასახადის განაკვეთები.

დროებითი დებულების მე-7 მუხლში (რითაც განსაზღვრულია გადასახადის გადამხდელთა კატეგორიები და გადასახადით დაბეგვრის ობიექტები—ავტორი) ჩამოთვლილი შემოსავლებიდან გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

| თვიური შემოსავლის ოდენობა | გადასახადის თანხა |
|---|---|
| 851-დან 6000 მანეთამდე | 850 მანეთზე მეტი თანხის 12 პროცენტი |
| 6001-დან 8000 მანეთამდე | 618 მანეთს პლუს 6000 მანეთზე მეტი თანხის 15 პროცენტი. |
| 8001-დან 10000 მანეთამდე | 918 მანეთს პლუს 8000 მანეთზე მეტი თანხის 20 პროცენტი. |
| 10001-დან 15000 მანეთამდე | 1318 მანეთს პლუს 10000 მანეთზე მეტი თანხის 30 პროცენტი. |
| 15001-დან და მეტი | 2818 მანეთს პლუს 15000 მანეთზე მეტი თანხის 40 პროცენტი". |

მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ამ მუხლში მითითებული შემოსავლებიდან (ა. გამომუშავება და ფულადი და ნატურალური ფორმის სხვა შემოსავლები, რომლებსაც საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან იღებენ მათ შტატში არმყოფი მოქალაქენი ერთჯერადი და სხვა სამუშაოს შესრულებისათვის, რომლებიც ხორციელდება სანარდო ხელშეკრულების საფუძველზე, თუ ისინი არ ატარებენ სისტემატურ ხასიათს; გ) მატერიალური დახმარების თანხები, მათ შორის პენსიის დანამატი, რასაც საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უხდიან მოქალაქეებს, რომლებიც მათთან არ მუშაობენ) გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით;

| თვიური შემოსავლის ოდენობა. | გადასახადის თანხა. |
|---|---|
| 100 მანეთამდე. | შემოსავლის თანხის 6 პროცენტი. |
| 101-დან 500 მანეთამდე. | 6 მანეთს პლუს 100 მანეთზე მეტი თანხის 8 პროცენტი. |
| 501-დან 4500 მანეთამდე. | 38 მანეთს პლუს 500 მანეთზე მეტი თანხის 10 პროცენტი. |
| 4501-დან 6000 მანეთამდე. | 438 მანეთს პლუს 4500 მანეთზე მეტი თანხის 12 პროცენტი. |
| 6001-დან და მეტი. | ამ დებულების მე-8 მუხლის განაკვეთებით". |

**ს. ქომეთიანი,** საგადასახადო ინსპექციის მოსახლეობის დაბეგვრის განყოფილების გამგე.

# ერთიანი ფონდი — თქვენს სამსახურში

1977 წლის ოქტომბერში ჩვენს რაიონში განხორციელდა ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის წიგნით მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას.

ცენტრალიზაციის პერიოდში ცაგერის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა ერთიანი ფონდის განყოფილება, ხოლო რეგიონში (ანუ რაიონში) ერთიანი ფონდი, რომელიც თანდათანობით ივსება ახალ-ახალი წიგნებით.

რეგიონის მკითხველებს უფლება აქვთ ცენტრალიზაციის პირობებში ისარგებლონ სისტემის ყველა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებიდან. მკითხველებს ადგილებზე ემსახურებათ ფილიალები და ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის ერთიანი ფონდი.

ფილიალის გამგეები მკითხველებისაგან იღებენ შეკვეთებს მათთვის სასურველ ლიტერატურაზე. თუ საჭირო ლიტერატურა ფილიალში არ არის, მოთხოვნის ფურცელი ერთიანი ფონდის განყოფილებას ეგზავნება. იმ შემთხვევაში, როცა წიგნი ერთიან ფონდში არ აღმოჩნდება, მაშინ ამ განყოფილებიდან მოთხოვნის ფურცელი გაიგზავნება იმ ბიბლიოთეკებში, რომლებშიც ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტია გახსნილი.

ამით ყველა მკითხველს საშუალება ეძლევა მიიღოს მისთვის საჭირო ლიტერატურა ქუთაისის საჯარო, საქართველოს სახელმწიფო ეროვნული, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო, ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების რესპუბლიკური, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და სხვა ბიბლიოთეკებიდან.

ცაგერის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის ბევრი მკითხველი სარგებლობს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით, დროულად იღებენ მათთვის საჭირო ლიტერატურას დროებითი სარგებლობისათვის. წიგნით სარგებლობის ეს მეთოდი დიდი საშუალებაა და წიგნის მოყვარულთ ვურჩევთ ისარგებლონ ამ სიკეთით.

**ლ. ხვადაგიანი,**
ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის ერთიანი ფონდის განყოფილების გამგე.

# კრიმინალური ქრონიკა

1992 წლის 9 ოქტომბერს, ღამით, გატეხეს ჩხუტელის საშუალო სკოლის დირექტორის კაბინეტი, საიდანაც მოიპარეს სასწავლო კომპიუტერები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

1992 წლის 10 ოქტომბერს, ღამით, დაუდგენელმა პირებმა გატეხეს რაიკოოპერატივის ცენტრალური საწყობი, საიდანაც გაიტანეს 800 კილოგრამი შაქარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედათა კომიტეტი დაგეხმარებათ

დღეს რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო ყველას უჭირს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება მრავალშვილიან ოჯახებს, მომავალ დამცველებს რომ უზრდიან საქართველოს.

საქართველოში შეიქმნა მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაცია, რომლის მთავარი მიზანია მრავალშვილიან დედათა და ობოლ ბავშვთა პირობების გაუმჯობესება.

ცაგერის რაიონში შექმნილი დედათა კომიტეტი, მიმდინარეობს მრავალშვილიან დედათა გაწევრიანება. მრავალშვილიან დედებს დაურიგდებათ მოწმობები, რომლის წარდგენის შემდეგ უფლება ექნებათ ივაჭრონ მათთვის სპეციალურად გახსნილ მაღაზიაში, სადაც შეღავათიან ფასებში იქნება შემოტანილი საურსათ-სანოვაგე და ტანსაცმელი.

დედებს, რომლებსაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი, მარტოხელა დედებს, აგრეთვე იმ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ინვალიდი ბავშვები, ასოციაცია გაუწევს ყველა სახის დახმარებას.

მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა უმოკლეს ვადაში უნდა წარმოადგინონ დემოგრაფიული მონაცემები სოფლის საკრებულოდან, ორი ცალი ფოტოსურათი 3X4. საწევრო გადასახადია 50 მანეთი. გაწევრიანება ნებაყოფლობითია.

მისამართი: ყოფილი რაიონული კავშირის ალმასკომის შენობა, მე-3 სართული.

ლამზირა ონიანი,
საქართველოს რესპუბლიკის მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაციის დედათა კომიტეტის თავმჯდომარე ცაგერის რაიონში.

# ოჰ, ეს პარალელები...

კაცობრიობის მეხსიერებამ ერთი ამბავი შემოინახა ძველი მსოფლიოს ისტორიიდან: სპარტის მმართველი ლეონიდე მცირერიცხოვანი 300 კაციანი რაზმით მიდის სპარსელთა ურიცხვი ლაშქრის წინააღმდეგ საომრად. მხედართმთავარმა იცის ამ სასიკვდილო ბრძოლის ბოლო — ერთი მუჭა პატრიოტების უეჭველი დაღუპვა — და უბრძანებს რაზმის უფროსს: გამოარჩიე, ვისაც ვაჟი არ ჰყავს და რაზმი დანარჩენებით შეავსე. მე არ მსურს, რომ თუნდაც ერთი სპარტელის ოჯახი გადაშენდეს...

ტყუილად როდი გავიხსენე ეს ისტორია. ამას წინათ ცაგერელი ახალგაზრდა მეკავშირეობა თურმე აფხაზეთში სამხედრო ლელად, დასტური მიეციათ და წამოიყვანეს კიდეც ამ მოხალისეებს, საომრად უპირებდნენ ალბათ წაყვანას, თავისთავად, არაჩვეულებრივი ამ ფაქტში არაფერია — ვაჟკაცები საომრად მიდიან. მით უფრო, ყველა მათგანს ვიცნობ და არ გამკვირვებია ეს ნაბიჯი. მამულისთვის გულანთებული ამ ბიჭებისაგან სხვა არც იყო მოსალოდნელი. ისინი ვაჟკაცები არიან და იციან ვაჟკაცის ვალი. უჩვეულო მხოლოდ ესაა — თითქმის ყველა მათგანი დედისერთაა და უცოლშვილო ან ხსენი, თოფი რომ თავის დღეში არ ჰქონია ხელში. ასეთები მხოლოდ მაშინ უნდა გაუშვა საომრად, ღმერთმა დაგვიფაროს, და ქვეყანას ისე გაუჭირდეს, ქუდზე კაცის გამოსვლა გახდეს საჭირო. დიდი ერები ფიქრობენ ამაზე, ჩვენ კი, ისედაც მცირენი, შეძლების ლაგვარად უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს გენოფონდს.

ბრძენი იყო სპარტელი ლომი, ლეონიდე...

ია ხმელიძე.

# ძვირფასო მკითხველო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, ომია, იღუპებიან ადამიანები, ახალგაზრდები, შინაური თუ გარეშე მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს. ამ სიტუაციაში გვიმძიმს და მკრეხელობადაც მიგვაჩნია გაზეთის გამოწერაზე საუბარი, მაგრამ არც ის ივარგებს, უყურადღებოდ დაგტოვოთ. გაზეთი ნებისმიერ დროს, და მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, ისიც რაიონული, მშობლიური, თქვენი ინფორმატორია, თქვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ამდენად ჩვენის აზრით, ჰაერივით საჭიროა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

გაზეთების გამოწერა დაიწყო. ალბათ ბევრს გაგიჩნდებათ სურვილი გამოიწეროთ „ლეჩხუმი". გამოწერა შეგიძლიათ 1 წლით, 6 თვით. წლით ჩვენი გაზეთის ფასი 57 მანეთია. გვესმის რა უმრავლესობის დღევანდელი საოჯახო ბიუჯეტის სიგრძე—სიგანე, ესაა ძალზე შეღავათიანი ფასი იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ქაღალდს, პოლიგრაფიულ მომსახურებას თუ სხვა აუცილებელს მიაქვს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ხელმოწერა რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე" დაიწყო. მისი გამოწერა მიმდინარეობს ჩვენთან, რაიონული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გვაქვს.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი", ლეჩხუმელებო!

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

## გილოცავთ

მაია ძანაშვილს, მამუკა გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას, გამრავლდით, იხარეთ.
ნათია, ელისო, ამირან გურგუჩიანები.

მაია ძანაშვილს, მამუკა გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იბედნიერეთ.
კახა ბურჯალიანი, ბადრი გურგუჩიანი.

მზია ახვლედიანს, ავთო სვანიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
ლოლა ახვლედიანი.

მზია ახვლედიანს, ავთო სვანიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
ბელა სალიაძე.

## გილოცავთ

ლენა კანიტოვის ასულ გენიძეს
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.
შვილიშვილები შოთა, ბექა, ალეკო, ლაშა, ლელა, ირაკლი, ირინა, თინათინი, თეონა.

ქეთინო ხვიჩიანს
გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეს წმინდა ნინოს ჯვარი.
XI-ა კლასის მოსწავლეები.

გიორგი ედიშერის ძე სილაგაძეს
ზვიად ოლეგის ძე სილაგაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ზაირა.

ციცო კვენეტაძეს
გილოცავ გიორგის დაბადების დღეს. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.
რუსუდან ბურჯალიანი.

ზვიად სილაგაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი.
XI-ა კლასის მოსწავლეები.

# ხსოვნა

## რამინ ბიქტორის ძე ქარხელაძე

რამინ, ულმობელი იყო შენი ამ სამზეოდან წასვლა. მოულოდნელობამ თავზარი დაგვცა. ვინ იფიქრებდა, რომ დღეს ჩვენს შორის აღარ იქნებოდი. რა ცინცხალი კაცი იყავი, სუფთა, უხინჯო, უზადო, რა მალე შეწყდა შენი გულისცემა. ობლობის ძირმწარე დღეები რომ გამოსცადე, რად შეატოვე ობლობას შენი სალოცავი ბიჭები. გვჯერა შენი სიცოცხლის ფესვები იხარებენ, გამრავლდებიან. არ დაეცემა ნაღოლიავები ოჯახი, შენი ღირსეული და ერთგული მეუღლე ამის თავდები.

როგორ დააკლდა, რამინ, შენი დაუხარჯავი ენერგია შენს საყვარელ ოჯახს, ხელმეორედ დაობლებულ დებს, სათაყვანებელ სკოლას, შენი აწონილი სიტყვა მეგობრებსა და მეზობლებს. როგორ გიხდებოდა ოქროს დუმილი, არ თქმაში დიდი თქმა და მზიანი მეტყველება, რა ტევადი იყო შენი აზრები, რა ნაღდი მეგობრობა იცოდი, სითბოს აფრქვევდა შენი ალალი და სანდომიანი გული, დამთმობიც ისეთი იყავი, როგორიც ნაღდ ვაჟკაცს ეკადრება.

გიგონებთ და ვერ შევრიგებივართ შენთან განშორებას, ახლა სჭირდება შენისთანების სიცოცხლე საქართველოს, თითქოს ჩვენთან ხარ, სადღაც შეგვხვდები, შემოგვაბრიალებ ჰკვიანსა და ღიმილიან თვალებს, მოკრძალებით ნოგვეალმები და ლინჯად აგვყვები საუბარში, მოვისმენთ შენს უტყუარსა და ნაღდ აზრებს.

ეს დიდი მონატრებაა, კარგო ბიჭო, მაგრამ, ვაი, რომ ყოველივე ეს მოგონებაა, ერთი კი გვწამს, რომ თაობიდან თაობას გადაეცემა სახელი შენი, რომ ლეჩხუმის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ თაბორში ცხოვრობდა ერთი ალალი კაცი—რამინ ბიქტორის ძე ქარხელაძე, რომელიც შრომობდა, უყვარდა, ოცნებობდა.

გვაპატიოს შენმა უმწიკვლო სულმა, ჩვენო საამაყო ბიჭო, თუ ისე ვერ ვთქვით, როგორც შენს ხსოვნას ეკადრებოდა.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს, უკვდავებაში გადასულო ყმაწვილო კაცო.

შენი აღმზრდელი ლაილაშის საშუალო სკოლა.

## ინგა ოზბოლაძე

შენს დაბადების დღეს მესამედ უნდა შევხვდეთ უშენოდ, ინგა! ცრემლებით, ტკივილით დამძიმებული გულები არ უხდება ამ დღეს. 25 ანთებულ სანთელს არავინ შეუბერავს, იუბილარის სადღეგრძელოს არავინ წარმოთქვამს... შენს სამუდამო განსასვენებელთან ვიდგებით თავდახრილები, უნუგეშონი, მხოლოდ მოსაგონარს ვიტყვით, ტკივილამდე გვენატრები, ინგა! ტკივილამდე გვენატრებით შენ და იამზე, შენსავით უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი შენი უბედური დაიკო. შენი გამწარებული დედა ამაოდ დაგეძებთ, ამაოდ გეძახით.

ჩვენ ყოველ წელს აღვნიშნავთ შენი დაბადების დღეს, ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან და საყვარელ შემოდგომის ყვავილებს დაგაბნევთ გულზე. შენს ადგილს ვერავინ შეავსებს ჩვენს გულებში. ძველებურად გვახსოვხარ, ძველებურად გვიყვარხარ!

ძმა და მეგობრები.

## გია ანზორის ძე სილაგაძე

18 წელი გავიდა შენი დაღუპვის შემდეგ. ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე, 9 წელიც არ შეგსრულებოდა, მეორე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე იყავი, ფიზიკურად ძლიერი, ნიჭიერი, ყველას უსაზღვროდ მოსიყვარულე, ჩვენო გია, გული გვწყდება, ჩვენს გვერდით რომ არ ხარ ვწუხვართ, რომ ვერ მოესწარი შენი ერთადერთი ძმის ბედნიერებას, რძალს და პატარა ინას, შენი სურათის დანახვისას ბიძი, ბიძიო რომ ეძახის. ბედნიერია შენი დედ-მამა გოგის ბედნიერებით, მაგრამ ამ ბედნიერებას შენ აკლიხარ, 18 წელია დედაშენის თვალზე ცრემლი არ შემშრალა, მის სევდიან სახეზე ღიმილი არ გვინახავს, შენმა სიკვდილმა მოგვიკლა ყველას გული. საიქიო სასუფეველში ზრუნვას არ მოგაკლებს შენი საყვარელი ქრისტინე ბებია. გწამდეს, არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო საყვარელო გია.

დეიდა ნანული, დეიდაშვილები ელგუჯა, თემურ ლეთოდიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა მთვარისა, მამა ზურაბი, და ქეთინო, ბებიები ლუბა, რაისა, ბაბუა შოთა კოპალიანი, ბიძები ალიკარტო სილაგაძე, ბონდო კოპალიანი, მამიდები ზინა, ციალა, ნანული, ლია, დეიდა ხათუნა, ბიცოლები ნაზიკო მეშველიანი, ნათელა ბაკურაძე იუწყებიან

**ზაალ ზურაბის ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

დედა ლუბა, მეუღლე ნათელა, შვილი ნინო, ძმები ალიკარტო, ზურაბი, დები ზინა, ციალა, ნანული, ლია, სიძეები გურამ თოდუა, დათო ჩახნიანი, მევლუდ მეგრელი, რძლები ნაზიკო მეშველიანი, მთვარისა კოპალიანი, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძები, დეიდები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**კლიმენტი ეფრემის ძე სილაგაძის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 22 ოქტომბერს, ხუთშაბათს, სოფელ ლასხანაში.

---

ანზორ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**ბორის ბიძინას ძე სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შურმან მურცხვალაძე ოჯახით თანაუგრძნობს მთვარისას, ზურაბ სილაგაძეებს შვილის, მაზლის და ძმის

**ზაალის და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის IX ა კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ქეთევან ჩაკვეტაძე თანაუგრძნობენ ქეთინო სალინაძეს მამის

**ბორის სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მერი, ფაცია, მაია, ილო შეკიშვილებს

**სულიკო შეკიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

თანაკურსელები ქეთო სადილიანი, ნელი ქურასპედიანი, ლელა მახარობლიძე, ბაბილინა მუკბანიანი, ნორა ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისას, ზურაბ სილაგაძეებს შვილის, მაზლის და ძმის

**ზაალ და კლიმენტ სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მდინარა და ქორა ურთმელიძეებს დისა და ცოლისდის

**ნელი გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, ენუქი, ზუბიკო სილაგაძეები, ოთარ, გულვერ ხმელიძეები, გალაქტიონ ჭილვარია თანაუგრძნობენ სილაგაძეების ოჯახს

**კლიმენტის და ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ცხვედიანი, ლალი ყურაშვილი, თამილა ბენდელიანი, ირინა სვანიძე, ფოთოლა კოპალიანი, ნანა ხეცურიანი, თინა თუთისანი, ნანი ქომეთიანი, ლეილა ბენიძე, ნუნუ გელენიძე თანაუგრძნობენ ნორა ლარცულიანს

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის V ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ქაქუცა ნემსწვერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაალ სილაგაძე.**

---

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნელი, ლადო ერბელიძეებს მამისა და სიმამრის

**ბიქტორ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლია გუგავა, ქენია მანჯგალაძე, ინგა თოთაძე, ლია ხვადაგიანი, მედიკო ნემსაძე, მაია ბახსოლიანი, ქუქუნა მეშველიანი, ლია მუშკუდიანი, აზა ირემაძე, ლელა სვანიძე, გოგი გოგიაძე, თამაზ კენჭაძე თანაუგრძნობენ მთვარისა და ზურაბ სილაგაძეებს შვილის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, გოჩა, ბიჭიკო, შალვა, ანგელ, შუქური, ლავრენტი, ავთო, შამშე გოგეშაშვილები, თემურ, მურთაზ, ხვიჩა, ალბერტი ჩახნიანები, კოლია გიორგობიანი, ჯიმშერ, გელა ონიანები, ილუშა ურთმელიძე, ნოდარ სილაგაძე, უსუპ ჭაბუკიანი, ლადო ხვადაგიანი, თამაზ ყვირილიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული ჩახნიანს ძმისა და ძმისშვილის

**ზაალ და კლიმენტი სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

კულტურის განყოფილების მუშაკები ომარ ჭაბუკიანი, მანანა კუხალაშვილი, ძაღუ ახვლედიანი, ქეთინო ლიპარტელიანი, ლამარა ბერაძე, ლია, მანანა მუშკუდიანები თანაუგრძნობენ მთვარისა კოპალიანს შვილის

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ლალი, ჯემალ დავითულიანები ოჯახით თანაუგრძნობენ ოჯახს

**შალვა არტემის ძე მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მადონა ლაკვეხელიანს ბების

**ნატა ალავიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მაყვალა ცხვედიანი, ნორა ლარცულიანი, თამილა ბენდელიანი, ირინა სვანიძე, ფოთოლა კოპალიანი, ნანა ხეცურიანი, თინა თუთისანი, ნანი ქომეთიანი, ლეილა ბენიძე, ნუნუ გელენიძე თანაუგრძნობენ ლალი, ჯემალ დავითულიანებს ბიძის

**შალვა მუშკუდიანის**

და სიძის

**რეზო მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ოთარ, ზურაბ ხაბულიანები, კარლო მუშკუდიანი, ოთარ თვარაძე, ემზარ მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სილაგაძეების ოჯახებს

**კლიმენტისა და ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ, ბესო, ჯაბა დავითულიანები ოჯახებით იუწყებიან სიძის

**რეზო მუშკუდიანის**

გარდაცვალებას.

---

შოთა ბესარიონის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**კლიმენტი ეფრემის ძე სილაგაძე.**

შვილი ნათელა, სიძე ხუტა სვანიძე, ძმა ვანო, და ფაფალა ბენდელიანები, რძლები ლალი სვანიძე, ეთერი, ქეთო, ნაირა, ნანი, ნანა ბენდელიანები, შვილიშვილები ანზორი, ლალი, მზია, სოსო, თენგიზი, სიძეები პავლე პაპაძე, გიგლა შავნგირაძე, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია ლევარსამის ასული ბენდელიანი.**

დაკრძალვა 25 ოქტომბერს, კვირას, სოფელ ქულბაქში.

---

№ 2 ორმოცბინიან სახლში მცხოვრებლები თანაუგრძნობენ მთვარისა, ზურაბ სილაგაძეებს შვილის, მაზლის და ძმის

**ზაალის და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება

**ბორის ბიძინას ძე სალინაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ ახვლედიანი, ჯემალ ლიპარტელიანი, სოსო გასვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანი და ბადრი სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**აკაკი შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ლიპარტელიანი, მამია, დათო სადილიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულო და ბიძინა სალინაძეების ოჯახებს

**ბორის სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კუკური კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზურაბ და მთვარისა სილაგაძეებს შვილის

**ზაალის**

და ძმის და მაზლის

**კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

სახანძრო დაცვის მუშაკები თანაუგრძნობენ ზურაბ ეფრემის ძე სილაგაძეს შვილის

**ზაალ სილაგაძის**

და ძმის

**კლიმენტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მარიამ გამსახურდია, გელა, ქირა, კარლო ხეცურიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**სულიკო ალფეზის ასული შეკიშვილის**

გარდაცვალებას.

---

თამაზ სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნინი შენგელიას და ბადრი სალინაძეს მამისა და სიმამრის

**აკაკი შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ომარ, ნოდარ, გელა, გრიშა შუბულიანები, ნოდარ ხეცურიანი, გელა ბენდელიანი, გიგლა ლეთოდიანი, ჯიმშერ კოპალიანი, ოტელო მდივანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანი, ბადრი სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**აკაკი (კიკიტო) შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის V ბ კლასის მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები დუდუშა გორგასლიძე, ნაზი ჩარკვიანი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე სულიკო, შვილები ბელა, კახა, ალეკო, ძმა ზურაბი, დები შურა, ნანული, ცოლისძმა ანზორი, ცოლისდები, ძმისშვილები, დისშვილები, რძლები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, სიძეები, ქვისლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯანიკო მიხეილის ძე უჩაძე**

დაკრძალვა 24 ოქტომბერს, შაბათს, სოფელ უცხერში.

---

ლავნიკო სილაგაძე ოჯახით იუწყება

**კლიმენტი ეფრემის ძე სილაგაძის**

და

**ზაალ სილაგაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს.

---

იაშა, დადაში, ვახტანგ ხაბულიანები, მურმან ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

**ზაალ და კლიმენტი სილაგაძეები.**

---

ლუხვანოს საექიმო ამბულატორიის, ზარაგულისა და ზედა ლუხვანოს საფერშლო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხათუნა და ზოია კოპალიანებს დისშვილისა და მამიდაშვილის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ კოპალიანი, ვალოდია თოდაძე, ქორა ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ბორისის**

გარდაცვალების გამო.

---

საბიბლიოთეკო ქსელის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა, ზურაბ სილაგაძეებს, რაისა ხაბულიანს შვილის, მაზლის, ძმის და შვილიშვილის

**ზაალ და კლიმენტი სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს შოთა კოპალიანს და ზურაბ სილაგაძეს

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს სასწრაფო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცირა სილაგაძეს

**ზაალისა და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი ქლიბაძეს ბების

**ანა ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა უჩაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჯანიკო უჩაძე**

და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

ასმათ დავითულიანი, ფატი, მანანა ხეცურიანები, ელისო ჭაბუკიანი, მაყვალა ფუტკარაძე, ნანი ხაბულიანი, დალი გუგავა, ნატო ირემაძე თანაუგრძნობენ ხათუნა კოპალიანს დისშვილის

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ბენდელიანი, ბესიკ ჭუმბურიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანი, ბადრი სალინაძეებს მამისა და სიმამრის

**აკაკი შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია ლეჟავაშელს სიძის

**ვასო მანაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო, იური, როლანდ, კაკო, ლავნიკო სილაგაძეები, ... კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

**კლიმენტი**

და

**ზაალ სილაგაძეები**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახებს.

---

მანანა გოგიაძე, ლია მუშკუდიანი, მანანა ბურჯალიანი, მანანა სალინაძე, მარადი მახარობლიძე, მერი იმედაშვილი, ლონდა გუგავა, მარინა ბენდელიანი, მომოზა სვანიძე, ლოლა მუშკუდიანი თანაუგრძნობენ მთვარისა, ზურაბ სილაგაძეებს შვილის

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის V ბ კლასის მოსწავლის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

იზო და ნუგზარ ტვილდიანები ოჯახით თანაუგრძნობენ მთვარისას და ზურაბ სილაგაძეებს შვილის, მაზლის და ძმის

**ზაალ და კლიმენტი სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის VII ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი იზო ხვადაგიანი თანაუგრძნობენ ქეთინო სილაგაძეს ძმის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო, მაყვალა, გრიგოლ ბურჯალიანებს სიძის

**ბუჟუ გურგუჩიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ როლანდ და ივანე სილაგაძეებს

**ზაალის და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

**თამარ ხერგიანის**

გარდაცვალებას.

---

ბებია რაისა, ბაბუა შოთა, დეიდა ხათუნა, ბიძა ბონდო კოპალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაალ სილაგაძე.**

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო და კაკო სილაგაძეებს

**კლიმენტი და ზაალ სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს მთვარისა, ზურაბ, ალიკარტო სილაგაძეებს შვილის, ძმისა და ძმისშვილის

**ზაალისა და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ანზორ, ზურაბ მუშკუდიანებს ოჯახს

**რეზოს**

გარდაცვალების გამო.

---

ცაროს და მელორ მამარდაშვილები თანაუგრძნობენ ზურაბ მუშკუდიანის ოჯახს

**რეზოს**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა.